ტრენინგი ეთნიკური უმცირესობებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა არჩევნებში ჩართულობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების წარმომადგენლებისთვის

2014 წლის 6 ივნისს, ცესკოს ეგიდით საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა, განახორციელა ტრენინგი სახალხო დამცველის ოფისისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგებლებისთვის, რომლის ფარგლებშიც მონაწილეებს მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებში ეთნიკური უმცირესობებისა და შეზღუდული შესაძლებლობების პირების ჩართულობის უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით. მონაწილეები გაეცნენ საარჩევნო კანონმდებლობის სიახლეებს, კენჭისყრის დღის პროცედურების პრაქტიკული სწავლების თვალსაზრისით მათთვის ნაჩვენები იყო სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული სასწავლო ფილმი "კენჭისყრის დღის პროცედურები".

ტრენინგის მონაწილეებს გადაეცათ სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული შესაბამისი სახელმძღვანელოები.